სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-614

ქ. თბილისი

02.04.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ელენა ლომორას ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1] მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 9 მარტის №159 ბრძანების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2015 წლის 31 მარტის №03-11823/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ელენა ლომორა (რუმინეთის მოქალაქე (პასპორტის N086623572), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სწავლების სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე - პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები) და სწავლას შეუდგეს 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან, ერთი სემესტრის ვადით (გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე).

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული

გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ელენა ლომორას პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში ელენა ლომორასთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ ელენა ლომორას.

რექტორი **გიგა ზედანია**